der Kleine verliebte sich in die Stadt und auch die Stadt hatte ihn lieb. Als Teenager hat er sogar im Film „Rote Teufelchen“ in einer der Hauptrollen gespielt; später leitete er die 2. Abteilung der Feuerwehr von Didube. Wer weiß, wie viele schöne Häuser er vor einem Feuer gerettet haben soll. Vermutlich gab er so der Stadt die Liebe zurück, die Tiflis ihm so reichlich und unentgeltlich schenkte.

Auch der Fallschirm ist verschwunden mit seinem Turm, aus dem ich immer springen wollte, mich aber niemals getraut habe. Ich hatte wahrscheinlich Angst, ähnlich wie Ende des XIX. Jahrhunderts die Passanten, die vom französischen Piloten eingeladen wurden, in seinem Luftballon über Tiflis zu fliegen. Da er niemanden für einen Spazierflug gewinnen konnte, nahm er verärgert seinen Esel, setzte ihn in den Korb, flog mit ihm zusammen über den blauen Himmel und landete im Schwefelbäderviertel. Gleich nach der Landung ist der Esel wie verrückt Richtung Flussufer gerast. Die Zeitungen berichteten am 19. Dezember 1893: „Als die ganze Stadt Tiflis dem Luftballon und dem darin sitzenden Esel folgte, lag der große georgische Schriftsteller Alexandre Kazbegi im Michaelskrankenhaus im Sterben“ (das Michaelskrankenhaus wurde 1868 im damaligen Neu-Tiflis gebaut).

Prediger Temur Bardawelidze



Im Alter von 74 Jahren ist unerwartet **LJUBOW FADEEWA** durch Herzversagen aus dem Leben geschieden. Mehr als 20 Jahre lang war sie Gemeindeglied der Friedensgemeinde in Rustawi. Sie konnte sich ein Leben ohne Kirche nicht vorstellen. Ljuba war ein aktives Mitglied des Frauenkreises, sie nahm mehr als einmal an den Frauenseminaren in Kwareli teil. Sie arbeitete im Stahlwerk in Rustawi und förderte immer die guten Beziehungen und die Freundschaft zwischen den Mitarbeitern. Ljuba war eine sehr tatkräftige, herzliche und lebensfrohe Person. Wir behalten unsere Ljuba in ehrenvollem Andenken. Sie wird für immer in unseren Herzen und in der Geschichte unserer Kirche bleiben.

Gajane Melkonjan

LEHRER STERBEN NICHT



*Lehrer werden niemals ganz sterben
ihre Seele wird ewiges Leben ererben!
Ihre Sterne glänzen im Dunkeln,
in der Stille sie für uns funkeln
ihre LIEBE wird niemals enden...*

Ein wunderbarer Mensch, eine hervorragende Lehrerin, unsere liebe **Nana Wachtangowna Kurzikidse** ist von uns gegangen.

Mehr als 20 Jahre lang arbeitete sie als Deutschlehrerin in der Evangelisch-Lutherischen Friedenskirche in der Stadt Rustawi. Sie war ein außergewöhnlich heiterer Mensch, freundlich, verständnisvoll, aufmerksam gegenüber den Kollegen, eine wirkliche LEHRERIN, die die Kinder und ihre Arbeit liebte. Wieviel Hingabe hat sie in jeden ihrer Schüler gelegt! Viele können den Tod der geliebten Lehrerin bis heute nicht begreifen.

Die Mitarbeiterinnen und Mitarbeiter der Kirche sprechen den Freunden und Verwandten von Nana Wachtangowna ihr aufrichtiges Beileid aus. Ihr Andenken wird für immer in den Herzen ihrer Schüler, der Kollegen und der Eltern bewahrt bleiben.

Anna Abschilawa

ნოემბრის თვის ლოზუნგი

უფალა წარმართოს თქვენი გულები ღვთის სიყვარულისა და ქრისტეს მოთმინებისაჲს

2. თესალონიკელთა მიმართ 3, 5

**ქვირფასო მკითხველო,
ქვირფასო დებო და ძმებო,**

ნოემბრის თვისთვის განკუთვნილი სიტყვების ცენტრალურ ნაწილს ღვთის სიყვარული და ქრისტეს მოლოდინი წარმოადგენს.

მოლოდინი უცნაური რამეა. ჩემს 4 წლის შვილიშვილს ძალიან უჭირს მოთმენა, როცა თამაშის დაწყებას ელოდება, მერე კი დრო სწრაფად გადის და ცუდ ხასიათზე დგება, როცა თამაში მთავრდება. სულ სხვანაირადაა საქმე მისი 10-წლიანი შესვენების შემთხვევაში. ეს დრო მისთვის მტკივნეულად იწელება და ბოლოს გახარებულია, როცა სიწყნარის დარვევის უფლება ეძლევა.

ჩვენ, უფროსები როგორ ვიტანთ ღოდინს? ქრისტეს მოლოდინს? მოთმინებით თუ მოთმინების გარეშე? მე პირადად ორივენაირი ღოდინი გამომიცდია. როცა ცხოვრება კარგად მიდის და კმაყოფილი ვარ, მაშინ უფლის მეორედ მოსვლას მოთმინებით ველი. მაგრამ თუ ცუდად ვარ ან დიდია გასაჭირი, მაშინ მოუთმენლად ველი ქრისტეს მოსვლას. საშობაო სიმღერაში “მაცხოვარი ზეცის კარს შეაღებს, ზეციდან ჩამოეშვება. . . აქ დიდ გასაჭირში, თვალწინ მარადიული სიკვდილით. მოდი, მიგემართე ძლიერი ხელით გასაჭირიდან სამშობლოში“ ეს მონატრება ნათელზე ნათელი ხდება.

თუმცა ამ სიტყვებში ჩვენ მოქმედი პირები როდი ვართ. ჩვენ არ ვწყვეტთ, მოლოდინი საჩქაროა თუ ჯერ არ ჩქარობს, არამედ უფალი იესო ქრისტე. მან ჩვენი გულები მოლოდინისთვის უნდა წარმართოს. ჩვენგან არაფრის გაკეთება არ არის საჭირო.

ბერძნული სიტყვა „წარმართვა“ პირდაპირ თარგმანში ნიშნავს „გამართვას, მართვას“. ანუ იესო ქრისტეს ჩვენი გულების მართვა სწადია, გასწორება, როცა მოუთმენლობა გვიპყრობს, მარცხნივ და მარჯვნივ ვიწყებთ ყურებას და არ ვიცით, გზა საით წაგვიყვანს.

და თუ ჩემი გული ქრისტეს მოლოდინისკენაა მიმართული, მაშინ დასაწყისში ნახსენები ღვთის სიყვარული ავტომატურად მოდის ჩვენთან. მოლოდინის გაძლება ასე უფრო იოლია – ღვთის სიყვარულის თანხმობის მიღებით. იმის რწმენით, რომ ის უდიდეს განსაცდელშიც ჩვენს გვერდით იქნება. რომ დაგვეხმარება, როცა კარგად არ ვივარძნობთ თავს. როცა დაცემულებს ფეხზე წამოგვაყენებს.

მოლოდინი ფუჭად დახარჯული დრო არ უნდა იყოს, როგორც მას ჩემი შვილიშვილი აღიქვამს, არამედ ღვთის სიყვარულით აღსავსე საქმეების კეთების დრო. ერთმანეთის გვერდში დგომა, ერთმანეთის დახმარება, ერთმანეთის გამხსნევება და ერთმანეთისთვის სიკეთით სავსე სიტყვების თქმა.

გულში ღვთის სიყვარულით შევძლებთ მოთმინებით ველოდოთ იმას, ვინც კარგ და ცუდ დღეებში მოვა ჩვენთან. ძე ღვთისა მუდამ ჩვენს გვერდითაა, ეს გამორჩეულად უნდა გვიხაროდეს შობის პერიოდში.

საეკლესიო მრჩეველი კლაუს რიტი, შტუტგარტი

ცვლილებები სელუს ხელმოკვანელობაში და სინოდის სხდომა

საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ევანგელიურ-სლუთერული ეკლესიის (სელე) ეპისკოპოსი მარკუს შოხი აირჩიეს ვიურტემბერგის სამხარეო ეკლესიის როიტლინგენის პრელატურის პრელატად (რეგიონალურ ეპისკოპოსად). როიტლინგენის პრელატურა მოიცავს 12 საეკლესიო ოლქს 392 საეკლესიო სამრევლოთი და 598 000-მდე მრევლის წევრით. ამ თანამდებობას მარკუს შოხი 2022 წლის გაზაფხულიდან დაიკავებს, მანამდე კი თბილისში გააგრძელებს მსახურებას ეპისკოპოსის რანგში.

სინოდის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, თხოვნით მიმართოს ვიურტემბერგის სამხარეო ეკლესიას, რათა მან კავკასიაში მოავლინოს პასტორი ეპისკოპოსის მოვალეობის შესასრულებლად. ვიურტემბერგის სამხარეო ეკლესიამ დააკმაყოფილა ეს თხოვნა და დაავალა პასტორ როლფ ბარაისს მსახურების შესრულება სელე-ში. ამის შემდეგ სინოდის პრეზიდიუმმა აირჩია პასტორი როლფ ბარაისი საეპისკოპოსო ვიზიტატორად, და სინოდმა თავის სხდომაზე 4 დეკემბერს



დაამტკიცა პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება. პასტორი როლფ ბარაისი 2022 წლის 1 მაისს შეუდგება მოვალეობის შესრულებას, როგორც ეს გათვალისწინებულია ეკლესიის წესდებაში ეპისკოპოსის მსახურების შესახებ. “ძალიან მიხარია, რომ ჩემი საქმის გამგრძელებელი ვიპოვეთ”, აღნიშნა ეპისკოპოსმა მარკუს შოხმა, რომელიც 2022 წლის გაზაფხულზე ვიურტემბერგის სამხარეო ეკლესიას დაუბრუნდება. “ეს საშუალებას მოგვცემს, მარტივად და კარგად გადავლახოთ გარდამავალი პერიოდი და საქმეების გადაბარება, სინოდს და სამრევლოებს

კი შესაძლებლობა მიეცემათ, აუჩქარებლად გაეცნონ საეპისკოპოსო ვიზიტატორს მის ეპისკოპოსის პოსტზე არჩევამდე”.

როლფ ბარაისი ვიურტემბერგის ევანგელიური სამხარეო ეკლესიის პასტორია და ამჟამად სანახევროდ ჰაიდენჰაიმის/ბრენცის საეკლესიო ოლქის მრევლის პასტორია, სანახევროდ კი გერმანიის ევანგელიური საყვირების საზოგადოების თავმჯდომარე. ჰყავს მეუღლე და 15-29 წლის ასაკის 5 შვილი. მართალია, ოჯახი საქართველოში საცხოვრებლად ვერ გადმოვა, თუმცა “ოჯახის მრჩეველთა საბჭომ მოიწონა ჩემი კანდიდატურა სელეში მსახურებისთვის”, თქვა ბარაისმა.

კორონავირუსის პანდემიის გამო სელეს სინოდის სხდომა 2 წლის შემდეგ პირველად ჩატარდა 2021 წლის 4 დეკემბერს. სამწუხაროდ დასწრება ვერ შეძლეს საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე სამრევლოების წარმომადგენლებმა. სინოდმა მიიღო 2022 წლის ბიუჯეტი და ამასთანავე გასული ორი წლის ფინანსური ანგარიში განიხილა.

რედაქცია

საოჯახო კონფერენცია ქობულეთში

არლო კოლოდის რომანის ”პინოქიოს თავგადასავლის” ბიბლიური მოტივები გახლდათ წლევანდელი საოჯახო კონფერენციის უჩვეულო და საინტერესო თემა. ის 6-15 სექტემბერს გაიმართა ქობულეთში და ესწრებოდა 7 ოჯახი თბილისიდან და რუსთავიდან 7 უფროსითა და 3-დან 17 წლამდე ასაკის 14 ბავშვით. კონფერენციას უძღვებოდნენ პასტორი ირინა სოლეი და თბილისის შერიგების ეკლესიის საკვირაო სკოლის პედაგოგი ირინა მამისაშვილი.

პირველ სადამოს ყველამ ერთად ვუყურეთ ვოლტ დისნეის ანიმაციურ ფილმს “პინოქიოს თავგადასავალს”, რათა შემდეგ ყოველ დღე გაეყოლოდით ამ ზღაპრის გმირებს და შესაბამისი ბიბლიური ისტორიები მოგვეძებნა. ხისგან ადამიანის შექმნამ ბიბლიის დაბადების წიგნში ღმერთის მიერ ადამიანის შექმნის ისტორია გაგვახსენა. ღმერთმა ადამიანი თიხისგან შექმნა და სული შთაბერა, რათა ის ამგვარად სულიერი არსება გამხდარიყო. ასე გამოთავა თამაშების მოხსენება ოსტატმა ჯეპეტომ პინოქიო ხის ნაჭრისგან და სიცოცხლე შთაბერა მას შემდეგ, რაც ღვთის გზავნილი ფეია მას ჯადოსნური ჯოხით შეეხო. ჯეპეტომ პინოქიო თავის შეგირდად შექმნა, რომ მას სიმღერა, ცეკვა და ადამიანებისთვის სიხარულის და სიამოვნების მინიჭება უძღვებოდა. ღმერთმა ადამიანი თავის დამხმარედ შექმნა, რათა მან დედამიწა სიმდიდრით და სილამაზით გაავსოს და დაიცვას ადამიანების გასახარებლად და ღმერთის სადიდებლად. ბოლოს მშობლებმა და ბავშვებმა სიხარულით გამოძერწეს თიხის მხიარული ადამიანები და ცხოველები.

შემდეგი ისტორია იმას შეეხებოდა, თუ როგორ უყიდა კეთილმა და მზრუნველმა ჯეპეტომ თავის შვილ პინოქიოს ანბანი და სკოლაში გააგზავნა, სადაც ბავშვები საჭირო ცოდნას იძენენ. სხვადასხვა მნიშვნელოვანი მოვლენის ცოდნის გარდა ადამიანს სჭირდება იმის ცოდნაც, თუ როგორ იცხოვროს სხვებთან და საკუთარ თავთან ჰარმონიაში. აქ გავიხსენეთ ღმერთის მიერ მოსესთვის მიცემული ათი მცნება და ბავშვებთან და მშობლებთან ერთად იმაზე ვისაუბრეთ, რისთვის გვჭირდება ეს მცნებები. მარტივი მაგალითია ის “მცნებები” ან წესები, რომლებიც ყველა ოჯახში არსებობს და რომელსაც თაობები იცავს. ჩვენ ვთხოვეთ ბავშვებს და

მათ მშობლებს, ჩამოეწერათ ოჯახური ტრადიციები, რამაც თვალნათლივ დაგვანახა, როგორ გადადის ჩვენს ოჯახებში ტრადიციები თაობიდან თაობამდე.

“პინოქიოში” ერთი ხმაურიანი პერსონაჟია, კალია, რომელიც სინდისს ასახიერებს ანუ ღმერთის ხმას ადამიანში. ის ეუბნება, რა არის კარგი და რა არის ცუდი. კალია პინოქიოს ნამდვილი მეგობარი იყო, ყველგან დაყვებოდა და შეცდომებისგან იცავდა. ასე დაგვეყვება ღმერთიც ყველა გზაზე და გამოცდების ჩაბარებისას გვხელმძღვანელობს. პინოქიოსაც მრავალი გამოცდის ჩაბარება მოუწია. ის სხვადასხვა ძალების მმართველობის ქვეშ მოხვდა, რომელსაც ეშმაკი კატა და მეღია განასახიერებდნენ, თავს პინოქიოს მეგობრებად ასახიერებდნენ და სინამდვილეში კი მისი მამისგან და სახლისგან შორს გატყუებას ცდილობდნენ. იმათ გამო ლამის ვირად გადაიქცა, რაც ადამიანურობის სამუდამოდ დაკარგვის ტოლფასი იქნებოდა. ასე დაემართა შეცდომილ ძესაც იესოს ცნობილ იგავში, მამა რომ მიატოვა და სულ უფრო მეტი შესცოდა, ისე რომ ბოლოს ლამის ღორს დაემსგავსა. თუმცა შეცდომილი ძის მსგავსად მონანიება და ღმერთთან, მამასთან დაბრუნება არასოდესაა გვიან. ჩვენ ეს იგავი სცენაზე გავითამაშეთ და ყველა ოჯახს მივეცით შანსი, რემბრანდტის ცნობილი ნახატის “ქე შეცდომილის



დაბრუნების” რეპროდუქცია გაეფერადებინა, რათა გაეგო შენდობის და სიყვარულის ძალა, რომელიც დაბრუნებულ და ღვთის ანუ მამის წინ მუხლებზე დაჩოქილ ძეს ელოდება.

პინოქიოს ბოლო გამოცდამ გაგვახსენა წინასწარმეტყველ იონას ამბავი, რომელიც ღვთისადმი დაუმორჩილებლობის გამო ზვიგენის მუცელში მოხვდა. პინოქიო, რომელიც სინანულით ეძებდა მამამის ჯეპეტოს, ასევე აღმოჩნდა ზვიგენის მუცელში და ის მონანიების სურვილით შეპყრობილი იონას მსგავსად გადაარჩინეს. ეპისკოპოსმა შოხმა ამ ისტორიის თვალსაჩინოდ წარმოსადგენად მოძრავი თალი გადმოგვცა ფიგურებიანად, რისთვისაც მისი ძალიან მადლობელი ვართ. მშობლებმა და ბავშვებმა დიდი მონდომებით დაამზადეს თოჯინა სახელად პინოქიო. ყოველ დღე ჩნდებოდა ხელგარჯილობის, ხატვის და თამაშის ახალი იდეები, საღამოობით კი ანიმაციურ ფილმებს ვუყურებდით ბიბლიურ თემებზე.

პინოქიოს ხის თოჯინისგან ბოლოს ნამდვილი, ცოცხალი ბიჭუნა დადგა. ამით ცნობილმა ზღაპარმა ჩვენთვის ახალი, ღრმა მნიშვნელობა შეიძინა: ადამიანს რთული განსაცდელებით სავსე გზის გავლა უწევს; გზის, რომელიც მას ღმერთთან მიიყვანს და ღვთის ნების შესაბამისად შექმნილ ადამიანად აქცევს.

პასტორი ირინა სოლეი

მშობლების და შვილების საშემოდგომო კონფერენცია ქობულეთში რუსთაველი და თბილისელი ოჯახებისთვის წლის მთავარ მოვლენად იქცა. ყველა მონაწილე გამუდმებით ღოცულობდა კონფერენციის წარმატებით ჩატარებისთვის და ყველას ჯანმრთელობისთვის. პასტორი ირინა სოლეი და პედაგოგი ირინა მამისაშვილი გულდასმით ემზადებოდნენ. თემა სიურპრიზი იყო: კარლო კოლოდის წიგნი “პინოქიოს თავგადასავალი” და ბიბლია. კონფერენციაზე ის იმდენად საინტერესოდ განვიხილეთ, რომ სულ მახსენდება.

კონფერენციის პროგრამის შემეცნებითმა და გასართობმა პუნქტებმა ბავშვებს შესაძლებლობა მისცა, აქტიურად ჩართულიყვნენ დისკუსიებში და ახალი ცოდნა შეეძინათ. ბავშვების და მათი მშობლების დამზადებული ნაკეთობებით დღემდე მორთულია რუსთავის საკვირაო სკოლის კედლები და ბედნიერ დღეებს გვახსენებს. თავიდან წვიმიანი დარი



იღვა, თუმცა ამან იმედიან განწყობას ვერაფერი დააკლო. პირიქით, წვიმის წვეთებისგან დამცავი სახურავის ქვეშ ბავშვები და მშობლები კიდევ უფრო დაახლოვდნენ. მზიანმა დღეებმაც არ დააყოვნა და ორ დღეში ზღვაში ჩავხტით. დიდი სიამოვნება მოგვანიჭა ექსკურსიამ ციხისძირში, სუბტროპიკული მცენარეების ნაკრძალში, რომელიც მანქანით 20 წუთის სავალზეა. პროექტი ამ შთამბეჭდავ ადგილს ძველი ციხესიმაგრის კედლებით, კლდეებითა და ზღვით, ალბათ ლექსებს მიუძღვნიდნენ.

ყველა მონაწილის სახელით მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენს ეკლესიას და სპონსორებს ამერიკის ევანგელიურ-ლუთერული ეკლესიიდან საოჯახო კონფერენციის ორგანიზებისა და მისი დაფინანსებისთვის და იმედი ვიქონიო, რომ ის მომავალ წელსაც ჩატარდება.

გაიანა მელქონიანი

თაობათა სახე

საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ევანგელიურ-სლუთერულ ეკლესიას და ჰომბურგის საარპფალც-გიმნაზიას 2002 წლიდან აქვთ ერთობლივი გაცვლითი პროგრამა, რომლის მიზანია გერმანია-საქართველოს კულტურული კავშირების გამყარება და საერთო ისტორიული წარსულის კვლევა. პროექტში მონაწილეობენ 16-18 წლის ახალგაზრდები გერმანიიდან და საქართველოდან. კოვიდ-სიტუაციის გამო 2020 წელს აქტივობების ფიზიკური ნაწილი ჩაიშალა. გადაწყდა 2021 წლისთვის პროგრამის ონლაინ სივრცეში გადატანა და საერთო ფოტო-პროექტის ჩატარება, რომლის თემაც იქნებოდა „თაობათა სახე“.

საქართველოს მხრიდან ახალგაზრდების ამ თემის ინტერპრეტაცია იყო ჭიათურის და ფოთის გადაღება - იმ ქალაქების, რომლებიც საკუთარ თავში აერთიანებენ ისტორიას, განსაკუთრებით კი ახლო წარსულის - ინდუსტრიული რევოლუციის მემკვიდრეობას. დღეს კი ჭიათურა მივიწყებული და მიტოვებული, საკუთარი თავის ამარა დატოვებული არის და დღევანდელი საქართველოსთვის მხოლოდ ფულის საბადოებს წარმოადგენს.

შესაძლოა ჭიათურაც და ფოთიც სამომავლოდ იქცნენ ტურისტულ ცენტრებად, მათი უნიკალური განლაგების თუ





საოცარი ბუნების გამო, შესაძლოა იქ მყოფმა ისტორიულმა ძეგლებმა მიიზიდოს ვინმე. თუმცა დღეს ჭიათურა თითქოს დროშია გაჩერებული და ქალაქის ცენტრში გახსნილ სუპერმარკეტს თუ არ ჩავთვლით, ისევე გამოიყურება, როგორც 30-40 წლის წინ. ქუჩებში ძალიან ცოტა ახალგაზრდა დადის. მაგრამ...

იმედი! იმედი ყველგან ცოცხლობს. რომ არა ის, ჩვენს ცხოვრებას ან ამ კვლევას აზრი არ ექნებოდა. ფოთში ყოფნისას ფიჩორი-პალიასტომი აღიარებულ იქნა იუნესკოს მემკვიდრეობის ძეგლად. ორივე ქალაქში ფუნქციონირებს თეატრი და რკინიგზა... ძალიან ცოტაა საჭირო, რომ ამ ადგილებში სიცოცხლე დაბრუნდეს! ოდნავი ყურადღება და ყველაფერი გამოვა!

ჩამოსვლა ამ ადგილებში ორმა ობიექტმა - პორტმა და საბადოებმა გადაგვაწყვეტინა. მაგრამ ფეხით ხეტიალის დროს მრავალ საინტერესო რამეს გადავაწყვდით, რის შესახებაც ვეცდებით მოგიყვეთ გამოფენაზე, რომელიც ახლო მომავალში გაიმართება.

დავით ჯანდიერი

გულმოწყალების აქცია

2021 წლის ოქტომბერში ზალტეცის-სახლის თანამშრომლის ხათუნა წკრიალაშვილის წყალობით კონტაქტი დავამყარეთ ნატო სოფრომბაქესთან, არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალები სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარესთან, რომელთან ერთადაც ეკლესიაში და დიაკონიაში გულმოწყალების რამდენიმე აქცია ჩავატარეთ. პირველი ჰუმანიტარული დახმარება ტანსაცმლის, თეთრეულის, ჰიგიენური საფენების და სხვა ნივთების სახით ზალტეცის სახლის ბინადრებსა და თანამშრომლებს დაურიგდათ. კარგი დასაწყისი იყო.

ამას მოჰყვა სხვა აქციები, რომლებმაც არა მხოლოდ თბილისის, არამედ რუსთავის, ბოლნისის, ბორჯომის და გარდაბნის მრევლის წევრები გაახარა. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ თბილისის, ბოლნისის და რუსთავის საკვირაო სკოლებში ჩატარებული აქციები. მათ ქალბატონი ნატოც ესწრებოდა და თავის და ორგანიზაციის საქმიანობაზე გვიყვებოდა. ბავშვებს კეთილ საქმეებზე და გულმოწყალებაზე ვესაუბრეთ, შემდეგ კი საჩუქრები დავურიგეთ, მათაც მყის მოირგეს სპორტულები და ქვედაკაბები და ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს. თბილისის საკვირაო სკოლის პედაგოგებმა მადლიერებით მიიღეს ხელსაქმისთვის საჭირო მასალა: მაკრატლები, ფერადი ქაღალდები, წებოები – არაჩვეულებრივი საჩუქრები, რომლითაც საშობაოდ ვიმუშავებთ.

შინ მოვლის სამსახურმა ნატო სოფრომბაქესთან ერთად 13 სოციალურად დაუცველი ადამიანი მოინახულა და





სახუქრად გადასცა თეთრეული, თბილი ტანსაცმელი და სხვა საგნები. დახმარება მიიღო ოჯახის ყველა წევრმა ბავშვების ჩათვლით. ტანსაცმლით სავსე ყუთები გავაგზავნეთ შინ მოვლის სამსახურის დუშეთის ფილიალშიც. რთულია იმ სიხარულის გადმოცემა, რომელიც ამ დახმარების მიღებამ მიანიჭა ადამიანებს. მათ სახეზე იკითხებოდა გაოცება და აღფრთივანება, რომლებიც სიტყვებზე უფრო მეტყველი იყო. შინ მოვლის სამსახურის თანამშრომლების გარდერობსაც შეემატა ახალი ნივთები.

ბორჯომში აქცია გასცდა მრევლის ფარგლებს, ამის შესახებ მრევლის თავმჯდომარე ნანა კაპანაძე გვიამბობს: *“ჩვენც მივიღეთ ქალაქ ბორჯომში და ბორჯომის რაიონის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისათვის პუმანიტარული ტვირთი: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თეთრეული, თბილი საბნები და სხვა საჩუქრები. მიღებული ტვირთი დავახარისხეთ საჭიროების შესაბამისად და რამოდენიმე დღის განმავლობაში გადავეცით მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველ ოჯახებს, ასევე ბორჯომის უმწეოთა უფასო სასადილოს 260 ბენეფიციარს. საკვირაო სკოლის ბავშვები გავახარეთ სასკოლო ნივთებით, სპორტული და გასართობი ფორმებით”*.

უფალი ამბობს: *“რითაც შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით მე შემეწიეთ“* (მათე 25,40). ეს სიტყვები არასოდეს უნდა დავივიწყოთ და გულმოწყალებაზე ფიქრით მუდამ კეთილი საქმეები უნდა ვაკეთოთ. ძვირფასო ნატო! დიდი მადლობა ამ კოლოსალური შრომისთვის, ძალისხმევისთვის, ყურადღებისა და სიტბოსთვის, რომელსაც ადამიანებს უწილადებთ. ჩვენი სამრევლოების, ზღტეტის სახლის მაცხოვრებლების და პაციენტების, შინ მოვლის სამსახურის თანამშრომლების, საკვირაო სკოლის პედაგოგების და ბავშვების სახელით უდიდეს მადლობას მოგახსენებთ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

მადონა ურკევიჩი, ელენა ილინეცი

ბავშვთა უფლებათა კოდექსი

ნოემბრის დასაწყისში რელიგიათა სახელმწიფო სააგენტომ დაპატიჟა ჩვენი ეკლესია მათ და UNICEF-ის საერთო ღონისძიებაზე ბავშვთა უფლებების თემაზე. ფორმატი ჩემთვის საბოლოოდ დაუდგენელი დარჩა: იყო ეს ტრენინგი, სემინარი თუ სამუშაო შეხვედრა... ჩვენთან მიღებულია და ყველაფერს ტრენინგს ეძახიან. შეხვედრაზე ჩემი მონაწილეობა რესპუბლიკის მოედნიდან დაიწყო, როდესაც მე და ბატონი თემურ ბარდაველიძე უზარმაზარ ცარიელ ავტობუსში ჩავსხედით. მაშინვე გამიჩნდა პირველი შეკითხვა, რა საჭირო იყო ამხელა ავტობუსის დაქირავება, როდესაც მინივენის საკმარისი იქნებოდა. აქვე შეგახსენებთ, რომ ამავე UNICEF-ის კვლევის თანახმად, საქართველოში ყოველი მესხეთე ბავშვი შიმშილობს. ჩაკედით „ბორჯომი ლიკანში“ - ეს ხუთ-ვარსკვლავიანი სასტუმროა, ნომრის ღირებულება 200-300 ლარი. მოგახსენებთ, რომ ბორჯომში უამრავი სხვა კარგი სასტუმროცაა უფრო ადეკვატური ფასებით - ყოველი მესხეთე ბავშვი ხომ შიმშილობს!

დილას ბატონ თემურის და მე დაგვემატა ნანა კაპანაძე, ბორჯომის სამრევლოს საბჭოს თავმჯდომარე. შევეუდექით სწავლის პროცესს. ერთად შევიკრიბეთ ყველა რელიგიის ახალგაზრდებთან და ბავშვებთან მომუშავე ლიდერები. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელს ზაზა ვაშაყმაძეს დავეალა გაცნობითი სესიის ხელმძღვანელობა, მაგრამ იქედან ისე წამოვედი, სახელიც კი არ გამიგია არავისი. რატომ?! იმიტომ რომ ასე წარგვადგინეს: ეს არის ლუთერული ეკლესია, ეს... თითქოს სახელები არ გვჭირდებოდეს და მხოლოდ ეკლესიები ვიყოთ!

ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა ხასან ხალილიმ წარმოვიდგინა ისტორიული ექსკურსი. შეკითხვაზე, რატომ გვჭირდება ბავშვთა დაცვა, არავინ საუბრობს სიყვარულზე. იკვეთება, რომ მონაწილეთა დიდი ნაწილი საკმაოდ ავტორიტარული აღზრდის მომხრეა. სესია ჯამში ძალიან საინტერესო და კარგად ორგანიზებული იყო. გვქონდა აზრების გაცვლის და მსჯელობის საშუალება. გავიგეთ, რომ ბავშვის უფლებათა კონვენცია სავალდებულო დოკუმენტია ყველა სახელმწიფოსთვის, რომელმაც ხელი მოაწერა მას. საქართველო მის დაცვას ვერ ან არ ახერხებს - კვლავაც შეგახსენებთ, რომ აქ ყოველი მესხეთე ბავშვი შიმშილობს.



მაგრამ, ამის მიუხედავად, მივიღეთ ბავშვთა უფლებების კოდექსი, რომელიც უფრო გაფართოებულია და მის თანახმად ვაღდეულები ვართ, უფრო კარგად ვიზრუნოთ ბავშვთა უფლებებზე. იცით, ეს რას ჰგავს? ბანკში სესხი რომ გაქვს, ვერ იხდი და ბანკი გეუბნება: აიღე კიდევ ერთი სესხი, უფრო მეტი ოდენობით და ძველი გადაფარე. და ამის მერე შენც მიდიხარ და ტრაბახობ მეგობრებში: „აი, უფრო დიდი სესხი მომცეს“.

ამ ყოველივეს გააზრების შემდეგ მე და ბატონი თემური მივსერიწობთ სასტუმროს ტერიტორიაზე, რომელიც ოდესღაც რუსეთის იმპერატორის რეზიდენცია იყო. ცნობილი რომანოვების სასახლე ეზოს ბოლოშია, ლეგენდები დადის, ვის ეკუთვნის ის. ჩვენთვის, საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ მისი რესტავრაცია 2018 წელს დაანონსდა, ჩატარდა გრანდიოზული პრეზენტაცია და... ერთადერთი, რაც შეგიძლიათ ნახოთ მისვლისას 3-ენოვანი წარწერაა: „ეზოში ძაღლია და ის იკბინება“. ხუმრობა არ გეგონოთ.

სამწუხაროა, რომ ძირითადად არც მსგავს ღონისძიებებს აქვს განსაკუთრებული შედეგი და, ზოგადად, მეუცნაურება ამდენი ფულის ასე ხარჯვა. ჩვენ აგერ 3000 ლარად ყოველ ბანაკში ბავშვების ცხოვრებას ვცვლით, ამას თამამად ვამბობ! თუმცა ჩვენც ხომ არ გაგვიკეთებია ბანაკი უკვე ორი წელია! არა-და იმედი მქონდა, რაღაც სასარგებლოს ვაკეთებ-მეთქი. ამ სტატიის წერას რომ დავამთავრებ, წავალ, ვილოცებ, ეგებ უფალმა გადმოგვხედოს.

დავით ჯანდიერი

unicef



სემინარი ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ

2021 წლის 1-2 ნოემბერს თემურ ბარდაველიძესთან და დავით ჯანდიერთან ერთად ვესწრებოდი სემინარს, როგორც ევანგელიურ-ლუთერული ეკლესიის წარმომადგენელი. სემინარზე, რომელსაც უძღვებოდნენ გაეროს ბავშვთა ფონდის დირექტორი საქართველოში დოქ. ხასან ხალილი და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელი ზაზა ვაშაყმაძე, წარმოდგენილი იყო სხვადასხვა რელიგიური დენომინაციები.



მოვისმინეთ საინტერესო მოხსენებები, მათ შორის, ფსიქოლოგ ქეთევან თავართქილაძის მოხსენება ბავშვთა განვითარების საფეხურებზე. გაიმართა ასევე დისკუსიები. გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა დაცვის სპეციალისტმა ნონა ციხელაშვილმა ისაუბრა ბავშვთა მიმართ ძალადობაზე და ინტერნეტ სივრცეში ძალადობის პრევენციაზე. საინტერესო იყო გამოსვლები ბავშვის უფლებათა კონვენციაზე და ისტორიულ ჭრილში ბავშვთა უფლებებზე. გაეროს ბავშვთა ფონდის მართლმსაჯულების პროგრამის ხელმძღვანელმა თეონა კუჭავამ გაგვაცნო საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსში გათვალისწინებული ბავშვთა

დაცვის მექანიზმები. მოწვეული იყო იაშვილის ბავშვთა კლინიკის დირექტორი ივანე ჩხაიძე, რომელმაც ისაუბრა ბავშვების და ახალგაზრდების დაცვაზე კოვიდ-პანდემიის პირობებში.

ამ საკითხებთან დაკავშირებით კარგი იქნება სამრევლოებში სემინარის ჩატარება და ამ მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცნობა.

სურათზე: ნანა კაპანაძე და დოქ. ხასან ხალილი

ნანა კაპანაძე

დაბერების უსახეობა

ძველი აღთქმის ტექსტი დაბერების უსახეობა ეკლესიასტეს ძმე-12-ე თავიდან, რომლის გარშემოც 17 ოქტომბერს, კვირას რუსთავსა და გარდაბანში ვიქადაგე, ჩემთვის დღესაც აქტუალურია, როცა ბერლინში საწერ მაგიდას ვუზივარ. ამის მიზეზი არა მხოლოდ ჩემი „ბიბლიური ასაკია“ (ფსალმუნი 89, 10). ჩემზე დღემდე საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს 3000 წლის წინ მქადაგებლის მიერ დაწერილი ამ სიტყვების ძალა. უკიდევანო დროებამ განვლო, უთვალავი მოვლენა მოხდა, ბევრი რამ შეიცვალა, ჩვენ, ადამიანები კი უცვლელები დავრჩით და უცვლელი დარჩა ის მთავარი შეკითხვებიც, რომლებიც მუდამ გვაწუხებს: საიდან მოვდივართ? საით მივდივართ? რაში მდგომარეობს ჩვენი არსებობის აზრი დასაბამსა და დასასრულს შორის? კაცობრიობა ერთია დროსა და სივრცეში, ადამიანს დღესაც იგივე შეკითხვები აქვს საკუთარი თავის და ღმერთის მიმართ, რომლებიც 3000 წლის წინ ჰქონდა. მანუგეშებელი შეგრძნება!

ეკლესიასტეც, ჩვენს მსგავსად, დაბერებასთან მიმართებაში სვამს ამ შეკითხვებს ცხოვრების იმ ეტაპზე, როდესაც ძალები იკლებს, როდესაც „შეეშინდებათ სიმაღლისაც და გზებზეც შიში დაივანებს“, „ვიდრე დაიგმანებოდეს ქუჩის კარები, მიჩუმდებოდეს დოლაბის ხმაური“ – და ადამიანებს ეჭვები ეუფლება, რა აზრი და მნიშვნელობა აქვს, რაც მანამდე იყო და გაკეთდა, ან რა იქნება. ადამიანური არსებობის პესიმისტურ აღქმას ავტორი წყაროს უსახეობა ტექსტითა და აღწერით ფარავს – მაშინდელი საზოგადოების ცენტრალური ადგილით, სადაც ადამიანები იკრიბებოდნენ წყლის დასალევად, საქონლისთვის და თავიანთი საქმიანობისთვის წყლის ასაღებად. ახლანდელობაში წყაროს ნაცვლად, სავარაუდოდ, დიდ კომპიუტერს გამოვიყენებდით, სერვისების ცენტრალურ ადგილს, რომელზეც ჩვენ და ჩვენი საზოგადოება დამოკიდებული. ხანშიშესულ ადამიანს ძალა აღარ ჰყოფნის, რომ წყაროს ბორბალი დაატრიალოს და წყლით სავსე ჭურჭელი ამოქაჩოს, „დაიმსხვრევა დოქი წყაროსთან, ჩაეშვება ოწინარის ბორბალი ჭაში“. აღარაფერი გამოდის.

თუმცა ეკლესიასტეც მხოლოდ იმას კი არ გვეუბნება, რომ ძალების კლებასთან ერთად უნდა ვამბობდეთ: „ეს დღეები არ მომწონს“, სიბერე ცუდი ყოფილაო. ასაკში მზერის ორი მიმართულება უნდა შეხვდეს ერთმანეთს: ერთი, რომლისკენაც



ეკლესიასტე ახალგაზრდობას მოუწოდებს და ურჩევს, სიცოცხლის წარმავლობაზე იფიქრონ. მეორე მხერა კი ხანდაზმულებმა განვლილი ცხოვრებისკენ უნდა მიმართონ. ეს მხერები ბოლოს არა მხოლოდ უნდა გადაიკვეთოს, არამედ ერთ მხერად უნდა იქცეს და კარგი, წარმატებული ცხოვრების მანიშნებელი გახდეს: ახალგაზრდობის ქმედითუნარიანობის დანახვამ ხანდაზმულები უნდა გაამხნევოს, დასასრულის დროულმა ჭკრეტამ კი ახალგაზრდების სულსწრაფობა უნდა შეასუსტოს.

თუმცა ამ სიბრძნის გაგრძელებად ეკლესიასტე მიგვითითებს ღვთის, ჩვენი შემოქმედის საქმეებზე და ჩვენი მფარველი ღვთის სულზე, რომელთანაც ბრუნდება ჩვენი სული გარდაცვალების შემდეგ. ღვთისგან მომავალი და ღვთისკენ მიმავალი ცხოვრების ხაზი, რომელიც მოიცავს “საიდან” და “საით”-ს, ავსებს არსებობის და წარმავლობის მუდმივ ციკლს და საბოლოო ჯამში ეწინააღმდეგება კიდევ მას. ჩვენი ამ წრედში ტყვეობა, შესაძლოა, უახრო და „ამპარტავნული“ ჩანდეს, როგორც ამას ეკლესიასტე ამბობს. ცხოვრების ხაზის გავლება დაბადებიდან აღსრულებამდე, ჩვენი შემქმნელის სულამდე, საიდანაც ის ჩვენი აღსრულების შემდეგაც განაგრძობს არსებობას, ჩვენს ცხოვრებისეულ გზას აზრს და მიზანს აძლევს.

ჩვენი სიცოცხლე, ეკლესიასტეს თვალთ 3000 წლის წინ დანახული, შემოქმედის ნდობის საკითხია, რომელმაც ასეთებად შეგვქმნა და სულისა, რომელიც ბოლოს მიგვიღებს. ხანდაზმულობის სიბერე გვამზადებს ღვთის სულისთვის, რომელიც გვანუგეშებს. სიბერის დარღები დანაპირებსაც ნიშნავს. ამქვეყნად ცხოვრების მიჩუმებული ხმა, რომელსაც ეკლესიასტე წისქვილს ადარებს, ყრუ ხმაურით ფქვავს ფქვილს ცომისთვის, ჩიტის გალობად გადაიქცევა, რომლის წინაშეც “გალობის შვილები ქედს იხრიან”. ასაკში სიბრძნის ღიდოსტატს პოეზიის ძალა არ ტოვებს!

ჰანს-იოანიმ კიდერლენი

იუბილუს ბილოცავთ!



ქვირფასო ტანია, გულითადად გილოცავთ 70 წლის იუბილუს!

საიუბილეო თარიღი არის დღესასწაული, რომლის აღნიშვნაც ორმაგად სასიამოვნოა. ჩვენს ცხოვრებას ემატება გამოცდილება, საინტერესო მოვლენები და შეიძლება უმნიშვნელო ცვლილებებიც.

ტანია ბრიგოლია ჩვენი სამრევლოს დიდი ხნის წევრია, ის თითქმის დაარსებიდან ჩვენთანაა. გამოირჩევა აქტიურობით, ყოველთვის ჩვენს გვერდითაა მნიშვნელოვან სამრევლო ღონისძიებებში, დაუზარებლად გვეხმარება და ჩაბმულია სამრევლოს ცხოვრებაში. მინდა გავისხენო, როცა ახალი მოსული ვიყავი საკვირაო სკოლის პედაგოგი, როგორ მხიარულად მოვაწყეთ ბავშვებისთვის „ნიკოლაუსთაგი“ ფრაუ ჰაიკე ვალტერთან ერთად. კარდაკარ დავდიოდით და ვმღეროდით საბავშვო სიმღერებს გერმანულად. ტანიამ მშვენივრად მოირგო როლი თავისი ფორმით. მიუხედავად მისი მწარე ცხოვრების პერიოდისა, ის მაინც უფლის რწმენითა და ძალით აგრძელებს ცხოვრებას, როგორც ძლიერი პიროვნება ღამაზ შვილებებთან და შვილიშვილებთან ერთად.

ჩვენო ძვირფასო ტანია, გვინდა გისურვოთ წარმატებები, სიყვარული, ჯანმრთელობა და ბედნიერება. წლების დათვლა არ ღირს, თუმცა ისინი სავსება ჩვენი საზრუნავით. დაე, ყოველი ახალი დღე მზის სხივებს გაეთბოს, იასამანი ჰყვოდეს სულში და გული ნეტარებით დნებოდეს.

ნაზი ლონდარიძე

იუზილუს ბილოცავთ!

ბატონი ვიტალი ბოგოლავცი 22 დეკემბერს 80 წლის გახდა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს. ვუყურებ და მახსენდება გამოთქმა, ასაკი მხოლოდ პასპორტში ჩაწერილი ციფრებიაო. მოწესრიგებული, პუნქტუალური, გულისხმიერი, შეიძლება ითქვას, ექთნების იმედი - როცა მათ ჩვენი კომენდანტის შეწუსება არ უნდათ, ვიტალი მუდამ მზადაა ექთნების დასახმარებლად. ის ასევე მუსიკალურად აფორმებს ლოცვის საათს ეკლესიაში კვირაში ერთხელ და ამ საპასუხისმგებლო საქმისთვის გულმოდგინედ ემზადება.

ჩემი, ზალტეცის სახელობის მოხუცებულთა სახლის თანამშრომლების და მაცხოვრებლების, ასევე ეკლესიის მრევლის სახელით ვულოცავ ბატონ ვიტალის დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს, დიდხანს სიცოცხლეს. ღმერთმა მრავალი წელი ამყოფოს ასე მსხედ და ყოველთვის მზად სხვა ადამიანების დასახმარებლად.

მაია ვოცაძე



იუბილუს ბილოცავთ!

მრგვალი თარიღი მუდამ სადღესასწაულო განწყობას ჰქმნის დიდი სუფრითა და ღვინით, ყვავილებითა და თბილი სიტყვებით. რა თქმა უნდა, ჩვენი პირველი და უზუცესი პედაგოგის **ლარისა ლიზუნოვას 90 წლის** იუბილე ამ ყველაფერს იმსახურებს. მინდა, რამდენიმე ფაქტი გავიხსენო. 90-იანი წლების შუა პერიოდი ჩვენი სამშობლოს ისტორიაში ურთულესი იყო. კლუბი “არტო” ერთ-ერთი პირველი ადგილი გახლდათ, სადაც ჩვენი ეკლესიის მრევლის წევრები ღვთისმსახურებაზე იკრიბებოდნენ. მოჭრიალე, გაფუჭებული სკამები დარბაზში, დანგრეული სცენა. ბავშვების ჯგუფი ყურადღებით უსმენს მასწავლებელს. მას მოწვესრიგებულად აცვია, მოვლილია, ხმაური და ალიაქოთი ხელს არ უშლის გააკეთილის ჩატარებაში. ასე შევხვდით პირველად ლარისა აბრამოვნას. პედაგოგიური სიმშვიდის ეს შესანიშნავი მაგალითი, რომელმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, არა ერთხელ დამხმარებია ჩემს მუშაობაში.

მერე იყო ეკლესიის ახალ შენობაში მდებარე საკვირაო სკოლაში თანამშრომლობის მრავალი წელი კარგად მოწყობილ საკლასო ოთახებში ახალი მასწავლებლებითა და მოსწავლეებით. იცვლებოდა სასკოლო პროგრამები და პროექტები, უცვლელი რჩებოდათ თქვენ, ძვირფასო ლარისა აბრამოვნა და თქვენი მთავარი თვისება! ჩვენს ყველა კურსდამთავრებულს კარგად ახსოვს თქვენი კეთილგანწყობა, ბიბლიის კარგი ცოდნა, მშვიდი ხასიათი და ბავშვების სიყვარული.

“*კარგი სიტყვები რაც არ უნდა მოკლე იყოს და წარმოსათქმელად ადვილი, მათი ექო უდაოდ უსასრულოა*” (დედა ტერეზა). ჯანმრთელობას და ღვთის შეწვევას გისურვებთ!

დიდი სიყვარულით მოსწავლეების და მასწავლებლების სახელით,

ირინა მამისაშვილი



სახალხო გლოვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

ეპისკოპოსის მარკუს შონის
კვირა, 2021 წლის 14 ნოემბერი, რუსთავი

**ძვირფასო მრევლის წევრებო,
ძვირფასო დებო და ძმებო!**

დღეს, სახალხო გლოვის დღეს, კვლავ ვდგავართ ამ პატარა მემორიალთან რუსთავში. ეს მემორიალი კი არის პატარა, მაგრამ ის ადამიანები, ვისაც დღეს მოვიგონებთ, ბევრნი არიან. სავარაუდოდ 4000-ზე მეტი სამხედრო ტყვეა აქ დაკრძალული. არა მხოლოდ გერმანელები, არამედ ბევრი სხვა ერის წარმომადგენელი, მათ შორის ავსტრიელები, პოლონელები, რუმინელები და უნგრელები. მთლიანობაში ვარაუდობენ, რომ რუსთავსა და მის შემოგარენში 10 ათასზე მეტი სამხედრო ტყვეა დაკრძალული. დღეს გვსურს, მათ განსაკუთრებული პატივი მივაგოთ.

გარდაცვლილთა საფლავები აქ არ ჩანს. ამჟამად იგეგმება მათთვის ღირსეული სასაფლაოს მოწყობა. როდესაც დღეს დაღუპულებზე ვფიქრობთ, უნდა დაგვიქრდეთ იმაზე, თუ როგორ დაიწყო ყველაფერი. გერმანიის მიერ 1939 წელს დაწყებული ომი საბჭოთა კავშირზე 1941 წელს, ე.ი. 80 წლის წინ, თავდასხმით საბოლოოდ მსოფლიო ომში გადაიზარდა. სხვა ევროპული ომებისგან განსხვავებით, მეორე მსოფლიო ომი გერმანიის მხრიდან არა მარტო მოწინააღმდეგე სამხედროების დამარცხებისკენ ისწრაფოდა, არამედ ხალხთა განადგურებისა და დატყვევებისკენ. საომარ ტერიტორიებზე სამოქალაქო მოსახლეობის სიკვდილი და გაუბედურება თანმდევი შემთხვევითი ზიანი კი არ იყო, არამედ ომის გამოცხადებული მიზანი. ამ ომის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ასევე ებრაელების ან სინტი და რომა ბოშების ასეთი მასშტაბებით განადგურება.

60-დან 70 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა მეორე მსოფლიო ომს. მრავალმა მილიონმა ადამიანმა დაკარგა ჯანმრთელობა, ოჯახის წევრები, სამშობლო - ან ისინი იძულებული იყვნენ, დაახლოებით 10 წლამდე სამხედრო ტყვეობაში გაეტარებინათ. ამიტომ არ შეიძლება მოგონებისას, რომელიც სახალხო გლოვის დღეს ემსახურება, მხოლოდ

დაცემული სამხედროებით და მითუმეტეს დაცემული გერმანელი სამხედროებით შემოვიფარგლოთ. ეს უბრალო სიტყვები არ არის, როდესაც ვამბობთ, რომ ამ დღეს ომებსა და ძალადობრივ რეჟიმებს შეწირულ ადამიანებს მოვიგონებთ. ჩვენ მოვიგონებთ ყველა ქვეყნის გარდაცვლილ სამხედროებს, ებრაელებს, სინტი და რომა ბოშებს და სხვა დევნილ უმცირესობებს, და ასევე სამხედრო ტყვეებს.

თუმცა მხოლოდ მოგონებით არ უნდა შემოვიფარგლოთ. ჩვენ კი ვერ შევძლებთ წარსულის შეცვლას, ვერც იგნორირებას, შემსუბუქებას ან მისთვის მნიშვნელობის შეცვლას. თუმცა რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, არის ის, რომ ავიღოთ პასუხისმგებლობა. ჩვენ ვართ პასუხისმგებელნი იმაზე, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება. ჩვენ ვართ პასუხისმგებელნი იმისათვის, რომ ომი და დიქტატურა ვეღარ განმეორდეს. მთელი ჩვენი ძალებით უნდა ვიზრუნოთ ჩვენში შინაგან დემოკრატია და ტოლერანტობაზე, ხოლო საზოგადოებაში ურთიერთგაგებასა და შერიგებაზე.

როდესაც ვხედავთ, თუ როგორ განვითარდა მოვლენები გერმანიაში, რამაც დიქტატურა და ომი გამოიწვია, მაშინ ვხვდებით, რა საბედისწეროა საზოგადოების პოლარიზება, როდესაც სხვაში მხოლოდ პოლიტიკურ კონკურენტს არა ხედავ, რომელთანაც პრობლემის გადაჭრის სწორი გზის შესახებ დავობ. სწორ გზასთან დაკავშირებული ასეთი დავა, ასეთი პოლიტიკური შეჯიბრი ცოცხალი დემოკრატის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მაგრამ მდგომარეობა სახიფათო და საბედისწერო ხდება მაშინ, როდესაც პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ერთმანეთს მტრებად აღიქვამენ, რომლებიც მათ უნდა დაამარცხონ და ჩამოიშორონ, მაშინ როდესაც ისინი ერთმანეთს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავენ და შეურაცხყოფას აყენებენ. და ამ დროს გამოუსადეგარია საჯაროდ ამ პოლარიზებაზე დაჩივლება და მეორე მხარისათვის ბრალის დადება. პასუხისმგებლობა ქვეყანაში პოლიტიკური კლიმატისა და მოვლენების საბედისწერო განვითარებაზე, რაც ზიზღსა და ძალადობას იწვევს, ისევე ეკისრება ხელისუფლებას, როგორც ოპოზიციას. მაგრამ ეს პასუხისმგებლობა ასევე თითოეულ ჩვენგანს ეკისრება. ჩვენც ვართ პასუხისმგებელნი იმაზე, თუ რას ვიტყვით სხვა ადამიანების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებელნი იმაზე, რომ არ შეილახოს თითოეული ადამიანის ღირსება, მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობს იგი, და მიუხედავად



იმისა, უმრავლესობას თუ უმცირესობას ეკუთვნის იგი. ღმერთმა ყველა ადამიანი ერთნაირი ღირსებით გააჩინა, არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელი ერის ან პარტიის, რომელი სარწმუნოების წარმომადგენელია იგი ან ვინ უყვარს მას. ჩვენ ყველა ადამიანს უნდა ვცუთ პატივი და დავაფასოთ.

ჩვენს ღუთერულ ეკლესიაში ყოველი კვირისთვის გვაქვს გამონათქვამი ბიბლიიდან, რომელიც მთელი კვირის განმავლობაში წარგვიძღვება. სახალხო გლოვის დღის კვირის გამონათქვამი კორინთელთა მიმართ პავლე მოციქულის მეორე წერილიდან არის: „ჩვენ ყველანი უნდა წარვსდგეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე“ (მე-2 კორ. 5,10ა). ჩვენ ყველანი პასუხისმგებლები ვართ ჩვენს სიტყვასა და საქმეზე. შევიტანთ თუ არა წვლილს მშვიდობისა და შერიგების საქმეში, შევეგებებით თუ არა ადამიანებს სიყვარულითა და პატივისცემით, ვემსახურებით თუ არა სიკეთეს და ხელს შეუუწყობთ თუ არა თანასწორობას. აი ეს არის მნიშვნელოვანი. ერთხელაც მოგვიწვეს ამის გამო პასუხისგება. დღეს კიდევ ერთხელ გვანსენებენ ამას აქ, ამ მემორიალთან. დღეს, როდესაც მოვიგონებთ ომებსა და ძალადობრივ რეჟიმებს შეწირულ ადამიანებს. ღმერთმა მოგვცეს ძალა და გამბედაობა სიკეთის კეთებისათვის. მინდა გთხოვოთ, რომ ყველამ თავის მშობლიურ ენაზე წარმოვთქვათ ლოცვა „მამაო ჩვენო“.

დაპირისპირება და პოლარიზაცია დაკლუეული უნდა იქნას



საქართველოს პრეზიდენტმა 2021 წლის 21 დეკემბერს ორბელიანის სასახლეში გამართული რელიგიური გაერთიანებების საშობაო და საახალწლო მიღების დროს ისაუბრა იმ ინიციატივის შესახებ, რომელიც ქართულ საზოგადოებაში არსებული განხეთქილების დაძლევას ემსახურება. “დღეს საზოგადოება დაიღალა დაპირისპირებით და პოლარიზაციით და სურვილი აქვთ, რომ გამოვიდეთ შექმნილი ჩიხური მდგომარეობიდან” განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა. მან მოუწოდა რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლებს, მხარი დაუჭირონ შერიგების ამ პროცესს, რომელიც შედეგად მოიტანს ურთიერთპატივისცემის

და საქართველოში შემწყნარებლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის აღდგენას. ეპისკოპოსმა მარკუს შოხმა აგრეთვე გამოთქვა შეშფოთება ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო და საქართველოს ევანგელიურ-ლუთერული ეკლესიის სახელით დადებითად შეაფასა პრეზიდენტის ძალისხმევა. “იმედი მაქვს, საზოგადოება აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად საერთო ენას იპოვის. გისურვებთ მოთმინებასა და სიბრძნეს ამ ინიციატივის განსახორციელებლად. ჩვენ, როგორც ლუთერული ეკლესია ჩვენი მხრივ წვლილს შევიტანთ ამ პროცესში”, ხაზი გაუსვა ეპისკოპოსმა მარკუს შოხმა პრეზიდენტისადმი მიმართვაში.

რედაქცია

მუშტაიდი

“მუშტაიდის ბაღი” ყველა თბილისელისთვის საყვარელი ადგილია და არა მარტო საყვარელი, არამედ უფრო მეტიც, ბევრ ჩვენგანს თავის ბავშვობა ამ პარკში გაუტარებია, პაემანიც აქ დაუნიშნავს და თავისი ბავშვებიც იმ ცხენებიან კარუსელზე უკატავებია, ესლა რომ ღრმა მოხუცებულივით სახის ფერი დაუკარგავს და ალბათ წარსულით-და ცოცხლობს. იმ წარსულით, როცა რიგში მდგომი ბავშვები მის განჩერებას გულის ფანცქალით ელოდებოდნენ, იმ თეთრ რაშზე ან ლურჯად შეღებილ ეტლზე არავინ მიმასწროსო. ბავშვობის მატარებელმა რა ხანია ჩავგვიარა და ბავშვობაში დასაბრუნებელი ბილეთებიც კარგა ხნის გაყიდულია, მაგრამ ჯერ კიდევ შეიძლება იქ მიბრუნება, თუკი ჩვენს საოცარ დროის მანქანას - მეხსიერებას ჩავრთავთ, რომელიც უფლის წყალობით ჯერ კიდევ საკმაოდ კარგად მუშაობს.

მაინც საინტერესოა, რა ვიცი ამ ბაღის შესახებ? ვიცი, რომ ეს ბაღი და მასში მყოფი შენობები აუშენებია სპარსელ სასულიერო პირს ალა მირფეთაჰ მუშტაიდს. მისი ნამდვილი სახელი კი სპარსულად „მუჯთაჰიდი“ ყოფილა, რაც შიიტთა უმაღლეს სასულიერო პირს ნიშნავს, რომელიც იმდროინდელ მთავრობას სპარსეთიდან გამოქცევია, იმ დროისათვის თბილისის გარეუბანში დასახლებულა და ბაღიც გაუშენებია. მის მოსარწყავად მტკვრიდან არხიც გამოუყვანია. მასთან ახლოს მცხოვრები გერმანელი კოლონისტები არხის სარგებლობისთვის გადასახადს უხდიდნენ. შემდეგ ორსართულიანი სასახლეც აუშენებია. ეს მომხდარა დაახლოებით 1828 წელს. ბედნიერად და უდარდელად უცხოვრია მუშტაიდს თავის ახალგაზრდა მეუღლესთან ერთად. მაგრამ, საუბედუროდ, მეუღლე ადრე გარდაცვლილა და აქვე თავის ბაღში დაუსაფლავებია. კარგა ხნის შემდეგ მუშტაიდს სამშობლოში დაბრუნება გადაუწყვეტია. 1853 წელს ბაღი გაუყიდა და ის ტიფლისის მმართველობას საჯარო სარგებლობისთვის უყიდა.

მოდით, ერთად გადავლოთ თვალი “მუშტაიდის ბაღს“. რა შემოგვრჩა? მუშტაიდის ორსართულიანი თეთრი სასახლე გვერდზე მდგომი ხის მოგრძო შენობით, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული რესტორანი ყოფილა მაშინდელ ქალაქ ტიფლისში. ღია თეატრის სცენა, სადაც ფიროსმანს, ჩვენ დიდ

მხატვარს, სიცოცხლეში მიტოვებულს, ხოლო გარდაცვალების შემდეგ მსოფლიოში აღიარებულს (არ ვიცი, ასე რატომ ხდება), აკტრისა მარგარიტასათვის მილიონი ვარდი მიუროთმევიანა. გამქრალა ხის ულამაზესი ჩუქურთმებიანი საზაფხულო „მინიატურების თეატრი“, რომელიც ხანძარმა იმსხვერპლა. მახსოვს, ის ჩემს თვალწინ დაიწვა 1981 წლის ზაფხულის ერთ უმშვენიერეს დღიას. ჩემს გვერდზე იდგა მებაღე შამბე, თბილისის პირველი ფერადკანიანი მოქალაქე, მხარბეჭიანი მოხუცი შლანგით ხელში. იდგა და ჩუმი ცრემლები დაწვებზე ჩამოსდიოდა. მისთვის ხომ თბილისი მისი სამშობლო იყო. ის ჯერ კიდევ ბავშვი ჩამოიყვანეს შორეული აფრიკიდან. პატარამ შეიყვარა ქალაქი და ქალაქმაც შეიყვარა ის. თინეიჯერულ ასაკში ფილმ “წითელ ეშმაკუნებშიც” კი გადაიღეს ერთ-ერთ მთავარ როლში, ხოლო დავაჟუცებულ პირველი მაისის, ეხლანდელი დიდუბის რაიონის მე-2 სახანძრო ნაწილის უფროსი გახდა. და ვინ იცის, რამდენი თბილისური კოპწია აივნისანი სახლი გადაარჩინა განადგურებისგან. ალბათ ასე დაუბრუნა მან თბილისს ის სითბო, რომელიც თბილისელებისგან უსასყიდლოდ მიიღო.

გაქრა „პარაშუტიც“ თავისი კოშკით, რომლიდანაც ყოველთვის მინდოდა გადმოხტომა და ვერ გადმოვხტი, მეშინოდა. მეშინოდა ალბათ ისევე, როგორც მე-19 საუკუნის დასასრულს ეშინოდა მუშტაიდის ბაღში მოსეირნე საზოგადოებას, როცა ფრანგი მფრინავი გამვლელებს ეპატიუებოდა, საჰაერო ბუშტით მაშინდელ ულამაზეს ქალაქ ტიფლისზე გაესეირნათ. მაგრამ ვერა და ვერ დაუთანხმებია მოსეირნეები. გაბრაზებულს იქვე ხეზე მიბმული სახედარი კალათაში გადაუთრევიან და გაფრენილა. გადაუფრენია მაშინდელი თბილისის ზამთრის ლაჟვარდოვანი ცისათვის და ნარნარად აბანოთუბანში დაშვებულა. დაშვებისთანავე გმირი ვირი გიჟივით გადმომხტარა და თავქუდმოგლეჯილს მოუკურცხლავს სანაპიროსკენ. ამ ფაქტის შესახებ 1893 წლის 19 დეკემბრის გახეთები წერდა: „მთელი ტიფლისი საჰაერო ბუშტს და მასში მჯდომ ვირს მისდევდაო, როდესაც აღექსანდრე ყაზბეგი, დიდი ქართველი მწერალი გერმანელთა მიერ აშენებულ წმინდა მიხაელის საავადმყოფოში სულს ღევედაო“ (საავადმყოფო 1868 წელს აშენდა მაშინდელ ნოი-ტიფლისში).

მქადაგებელი თემურ ბარდაველიძე

74 წლის ასაკში უეცრად გულით გარდაიცვალა **ლუბა შალაშვა**. ის 20 წელზე მეტი იყო რუსთავის მშვიდობის სამრევლოს წევრი და ცხოვრება ვერ წარმოედგინა ეკლესიის გარეშე. ლუბა აქტიურად იყო ჩართული ქალთა კლუბის ცხოვრებაში, არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა ყვარლის ქალთა სემინარებში. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობისას ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და თანამშრომლებთან ძალიან მეგობრობდა. ლუბა ენერგიული, გულიანი და ხალისიანი ადამიანი იყო. ის მუდამ დარჩება ჩვენს ხსოვნაში და ეკლესიის მეხსიერებაში.

გაიანე მელქონიანი

მასწავლებლები არასოდეს კვდებიან



მასწავლებლები არასოდეს კვდებიან,
მათი სულები სასუფეველს დაიმკვიდრებენ
მათი ვარსკვლავები ბნელში ანათებენ,
ჩვენთვის სიწმემეში ბრჭყვიალებენ,
მათი სიყვარული კი არასოდეს მთავრდება. . .

შესანიშნავი ადამიანი, ბრწყინვალე პედაგოგი, ჩვენი საყვარელი **ნანა ვახტანგოვნა ჟურსიკიძე** წავიდა ჩვენგან.

ის 20 წელზე მეტხანს მუშაობდა რუსთავის მშვიდობის ევანგელიურ-ლუთერულ სამრევლოში გერმანული ენის მასწავლებლად. გამორჩეულად მხიარული, მეგობრული, გამგები, კოლეგებისადმი გულისხმიერი, ნამდვილი მასწავლებელი იყო, რომელსაც ბავშვები და თავისი საქმე უყვარდა. როგორ ძალისხმევას დებდა თითოეულ მოსწავლეში! ბევრს დღემდე ვერ მოუნელებია საყვარელი პედაგოგის გარდაცვალება.

ეკლესიის თანამშრომლები იზიარებენ ნანა ვახტანგოვნას მეგობრების და ნათესავების მწუხარებას. მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მოსწავლეების, კოლეგებისა და მშობლების გულებში.

ანა აბშილავა

ИЗРЕЧЕНИЕ НА НОЯБРЬ
ГОСПОДЬ ЖЕ ДА УПРАВИТ СЕРДЦА ВАШИ
В ЛЮБОВЬ БОЖИЮ И В ТЕРПЕНИЕ ХРИСТОВО

2. Фессалоникийцам 3.5

Дорогие читатели,
дорогие сестры и братья!

Изречение на ноябрь ставит в центр внимания любовь Бога и ожидание Христа.

Что касается ожидания, то это не простая вещь. Мой четырехлетний внук едва может дождаться, пока мы начнем его любимую игру. Время за игрой летит незаметно, и он разочаровывается, когда мы должны остановиться. Совершенно иначе обстоит дело с его послеобеденным отдыхом, который длится всего десять минут. Тогда время идет для него мучительно медленно, и он счастлив, когда этот «тихий час» проходит для него, как можно быстрее.

Как обстоят дела у нас, взрослых, с ожиданием? Как насчет ожидания Христа? Ждем ли мы Его терпеливо или чаще с нетерпением? У меня был опыт с обоими типами ожидания. Когда мне хорошо, когда жизнь успешна и прекрасна, я терпеливо жду пришествия Господа. Но когда дела идут плохо, когда приходит беда, тогда я желаю, чтобы Христос снова пришел, как можно скорее. Это желание совершенно ясно выражено в рождественской песне: *«Спаситель, небо распахни, с небес на землю к нам сойди ... Здесь столько выпало терпеть, а пред глазами – тьма и смерть. Явись, спасительной рукой нас выведи из бед домой»*.

Однако, в нашем изречении месяца мы не являемся действующими лицами. Не мы решаем, скоро ли закончится ожидание или у нас есть еще время, а решает Сам Господь, Иисус Христос. Он должен «управить» наши сердца в ожидание. Это Он что-то делает с нами, и мы не должны это делать сами.

На греческом языке слово «управить» буквально означает «выпрямлять, направлять». Итак, Иисус Христос хочет направлять наше сердце. Он хочет сделать это именно тогда, когда мы беспокойно оглядываемся по сторонам, когда мы смотрим направо и налево и не знаем, каким должен быть наш дальнейший путь.

И когда мое сердце направлено на ожидание Христа, тогда любовь Божья, упомянутая в изречении месяца, тоже автоматически снисходит на нас. Самый лучший способ вытерпеть ожидание – это принять любовь Бога, чтобы Он был с нами, даже в самой большой беде, чтобы Он помог нам, когда нам плохо, чтобы Он помог нам подняться, когда мы упадём.

Так что ожидание не должно быть бессмысленной потерей времени, как его ощущает мой внук во время послеобеденного отдыха. Ожидание может быть наполнено деяниями любви Божьей: быть рядом друг с другом, помогать друг другу, говорить друг другу ободряющие, добрые слова.

С Божьей любовью в сердце мы можем терпеливо ожидать то, что выпадет на нашу долю в хорошие и плохие дни. Сын Божий с нами всегда, и мы можем этому радоваться, особенно сейчас, в это рождественское время.

Церковный советник Клаус Рит, Штутгарт

СМЕНА РУКОВОДСТВА ЦЕРКВИ И ЗАСЕДАНИЕ СИНОДА

